

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის
პერიოდში უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებისა
და ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ სახელმწიფოს
მხრიდან კომპენსაციის გაცემის შესახებ
სპეციალური კანონის შექმნის აუცილებლობის შესახებ**

როინ მიგრიაული

*სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი*

**ABOUT THE NEED FOR THE ADOPTION OF THE SPECIAL LAW
ON RETURN OF PROPERTY EXPROPRIATED DURING
THE POLITICAL RULE OF THE “UNITED NATIONAL MOVEMENT”
AND ON AWARD OF COMPENSATION BY THE STATE
IN EXCHANGE FOR THE LOSS OF PROPERTY**

Roin Migriauli

Doctor of Law, Associate Professor of Caucasus International University

RESUME

The present article deals with the question of the reparation for the illegal expropriations during the political regime of the „United National Movement“ in Georgia in the years 2003-2012 .

In the first part of the article the author briefly and concisely tries to show the actual situation in Georgia regarding the issue of illegal expropriations by the state authorities. One stresses that during the political regime of the „United National Movement“ in the years 2003-2012 the property was taken away illegally from private persons in favour of the state or third parties.

In all these cases the expropriations took place without or against the will of the respective owner and without suitable legal basis.

From October 2012 - after the change of the political regime in Georgia - some thousands of natural and legal entities have turned to the public prosecutors and to the court with the desire of reassignment of the illegally expropriated property, the compensation(damages) or the conduction of criminal investigations because of extortion, constraint etc. There are people concerned who state that the political regime of the „United National Movement“ took away the property of private and illegally and without adequate compensation.

Nowadays the public prosecutors, as well as the courts deal with these legal cases, but there are some unavoidable problems for the plaintiffs or complainants concerning the legal penetration. It is about the fact

that the criminal pursuit of respective criminal offences for juridical or actual reasons are not possible. Also the replevins of the plaintiffs are hopeless, because in most cases a credulous acquisition is given. In a whole, there have been made no essential changes of the situation of the affected persons as before the parliamentary elections in 2012 promised. The “justice has not been restored yet”.

From the said follows, that there is a need for the protection of the rights of affected persons (repression victims) – it cannot be tolerated further that the affected persons cannot enforce their rights. Besides, the author concludes from the article 21 of the Constitution of Georgia (proprietary guarantee) that there is an constitutional obligation of the state to create a norm base which will allow either the reassignment of the property of affected persons or their fair and adequate compensation.

In the second part of the article the author discusses the respective legislation of the Federal Republic of Germany about the property issues concerning illegal expropriations by the state. The author discusses the historical background for the amendment of the respective german legislation. Special attention is drawn to the concrete conditions of the proprietary reassignment claim and compensation claim. The german model should, according to the author be valid as an example for the georgian legislator.

Eventually, in the third part of the article the author discusses in main features the possible contents and the possible structure of the law to be adopted by the georgian legislator.

At the end of the article the author stresses again the actual invidious and unconstitutional legal situation in Georgia and the necessity of the creation of a suitable legislation which should allow the reparation of respective kind – reassignment or compensation - to the affected person (repression victims).

1. სპეციალური საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, რომელსაც „რეჟიმის“ კვალი იფიკაციათ კი შეიძლება მიეცეს, სახელმწიფო უწყებების, სახელმწიფო მოხელეების ან მათთან დაახლოებული პირების მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ხდებოდა კონკრეტული მოქალაქეების ან ორგანიზაციული გაერთიანებების ნების სანინალმდეგოდ ან მათი ნების გარეშე, მათ საკუთრებაში არსებული ქონებების უკანონო ჩამორთმევა. ასეთმა უკანონო ქმედებებმა არა მხოლოდ ამ პირთა დაზარალება გამოიწვია, არამედ ზოგიერთის მიმართ განხორციელდა სახელმწიფოებრივი რეპრესიები, რის შედეგადაც ისინი ან მათი ოჯახის წევრები წამებისა და უსამართლო მოპყრობის მსხვერპლად იქცნენ¹. ეს ხდებოდა პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, რა დროსაც, სახელმწიფოს წარმომადგენლები მოქმედებდნენ უკანონოდ, ხოლო მათი ფაქტობრივი ქმედებები და ადმინისტრაციული აქტები იყო მართლსაწინააღმდეგოდ და შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს.

დღეისათვის, პროკურატურას შესაბამისი საჩივრით მიმართა რამდენიმე ათეულმა ათასმა პირმა, თუმცა პროკურატურას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის ან სამართლებრივი საფუძველი არა აქვს (სასამართლოს გადაწყვეტილებები კანონიერ ძალაშია შესული, ხოლო ახალ გარემოებათა არსებობის დამტკიცება ფაქტობრივად შეუძლებელია), ანდა სახელმწიფოს ფისკალურ ინტერესებს უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე რეპრესირებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენას.

დღეს არსებული საკანონმდებლო ბაზის პირობებში, რეპრესირებული პირისათვის ნაკლებად პერსპექტიულია სამოქალაქო დავის დაწყება. განსაკუთრებით, იმ პირობებში, როდესაც რეპრესირებული პირის კუთვნილი ქონება, ხშირ შემთხვევაში, მესამე პირთა - ე.წ. „კეთილსინდისიერ შემძენთა“ საკუთრებაშია, რაც სამართლებრივად გამორიცხავს აღნიშნული ქონების უკან დაბრუნებას.

¹ ასეთ პირს „რეპრესირებული პირი“ ან „რეჟიმის მსხვერპლი“ შეიძლება ვუწოდოთ

ამდენად, სახელმწიფოს დღეისათვის არავითარი სამართლებრივი ინსტრუმენტი თუ მეთოდი არ გააჩნია, რაც უზრუნველყოფდა რეჟიმის მსხვერპლთა კანონიერი ინტერესების დაცვას. შექმნილი სამართლებრივი მდგომარეობა ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოს აიძულებდა, მიეღო სათანადო სამართლებრივი ზომები, რათა დაეცვა მოქალაქეთა განუზომლად დიდი წრის კანონიერი ინტერესები. პოლიტიკურ წრეებში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ასეთ ღონისძიებას „სამართლიანობის აღდგენას“ უწოდებენ.

სამართლიანობის აღდგენის მნიშვნელოვანი წინაპირობაა - შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა. ახალი სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობა არსებული სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარეობს. სახელმწიფომ კი სპეციალური კანონმდებლობის შექმნა თავის უშუალო და პირდაპირ ვალდებულებად უნდა დაისახოს. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ, არსებული საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში, სამართლიანობის აღდგენის პრობლემა გადაუჭრელი რჩება. სპეციალურმა კანონმა უნდა განსაზღვროს არა მხოლოდ რეპრესირებული პირის (რეჟიმის მსხვერპლის) სამართლებრივი სტატუსი, არამედ აგრეთვე შესაძლებელი უნდა გახადოს რეპრესირებული პირისათვის (რეჟიმის მსხვერპლისათვის) ჩამორთმეული საკუთრების დაბრუნება ან მისთვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდა.

სახელმწიფოს ზემოაღნიშნული ვალდებულების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, რომელიც შეიცავს საკუთრების გარანტიას და ადგენს საკუთრების ხელშეუვალობას. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ შემდგომი პირობების კუმულატიური არსებობისას, კერძოდ: (ა) თუ სახეზეა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება; (ბ) კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული შესაბამისი შემთხვევა; (გ) სახეზეა სასამართლოს გადაწყვეტილება; (დ) სახეზეა ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობა. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევაში, ითვალისწინებს მის წინასწარ, სრულ და სამართლიან ანაზღაურებას.

ამგვარად, საქართველოს კონსტიტუცია, მართალია, უშვებს სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების ჩამორთმევის შესაძლებლობას, თუმცა საკუთრების ჩამორთმევა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს კონსტიტუციური და, შესაბამისად, მართლზომიერი, თუ სახეზეა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები. ყველა სხვა შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების ჩამორთმევა არის არაკონსტიტუციური და უკანონო. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები, განსაკუთრებით კი, საკუთრების უფლება, პირველ ყოვლისა, უზრუნველყოფს, სწორედ, სახელმწიფოს ჩარევისაგან პირის დაცვას, მისი არსებული საკუთრებისა თუ სამკვიდრო პოზიციების განმტკიცებას.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუცია, საკუთრების უფლების განხორციელებისა და მისი დაცვის გარკვეული გარანტიების შექმნის გარდა, იმავდროულად აიძულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგი. ხოლო კონსტიტუციური წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია, სწორედ, მოქალაქეთა ძირითადი უფლებების განხორციელების გარანტიები. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ თავი შეიკავოს კერძო საკუთრების ხელყოფისაგან, არამედ იგი ასევე, ვალდებულია, უზრუნველყოს მისი დაცვა. აქედან გამომდინარე, თუკი საკუთრებას ხელყოფდა უშუალოდ სახელმწიფო, იგი ვალდებული ხდება, თავად იზრუნოს დარღვეული საკუთრების უფლების აღდგენაზე, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, გასცეს შესაბამისი (ადეკვატური) და სამართლიანი კომპენსაცია.

სახელმწიფოს მიერ დაშვებული სამართლებრივი შეცდომების გამოსწორება (ანუ „სამართლიანობის აღდგენა“) უნდა მოხდეს, სწორედ, სამართლებრივ ჩარჩოებში, შესაბამისი კანონების მეშვეობით. ხოლო თუკი არსებული სამართალი, თუნდაც ფაქტობრივი მიზეზების გამო, ვერ უზრუნველყოფს საკუთრების ხელშეუვალობას, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ახალი საკანონმდებლო

ბაზა, რომელიც შეუფერხებლად და დაუბრკოლებლად უზრუნველყოფს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პრაქტიკულ მოქმედებას. სახელმწიფოს აღნიშნული ვალდებულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამომდინარეობს თავად საკუთრების კონსტიტუციური უფლების სამართლებრივი არსიდან.

როგორც ითქვა, საქართველოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში (2003 – 2012 წწ.) სახელმწიფო ან სახელმწიფო მოხელეების და მათთან დაახლოებული პირები ხელყოფდნენ კერძო საკუთრებას. არსებული სიტუაციიდან და კონსტიტუციის 21-ე მუხლის არსიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს პირთა საკუთრების საკონსტიტუციო უფლების დაცვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნამ, მართალია, შეიძლება წარმოშვას სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონების გაცემის ვალდებულება, თუმცა სახელმწიფოსათვის პრიორიტეტი უნდა იყოს საკუთრების უფლების, როგორც ძირითადი უფლების განხორციელების საკონსტიტუციო გარანტიების შექმნა, ვიდრე აქცენტის გაკეთება ფისკალურ შედეგებზე.

ამგვარად, საქართველოს კანონმდებელმა უნდა შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ამით უზრუნველყოს კონსტიტუციური ნესრიგის დამყარება. ამ თვალსაზრისით, ქართველი კანონმდებლისათვის საინტერესო უნდა იყოს სხვა სახელმწიფოების შესაბამისი სამართალი და სამართლო პრაქტიკა. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, როგორც მძიმე უახლესი წარსულის მქონე სახელმწიფოს, შესაბამის საკანონმდებლო ბაზასა და სამართლებრივ პრაქტიკას.

2. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული სპეციალური საკანონმდებლო ბაზა²

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებისა და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით, საკმაოდ სოლიდური საკანონმდებლო ბაზა არის შექმნილი. აღნიშნული განპირობებულია ამ ქვეყნის მძიმე უახლესი ისტორიით - მე-20 საუკუნეში გერმანიის მიწაზე არსებობდა ორი დიქტატორული სახელმწიფო, რომელთა ტერიტორიებზე შესაბამისი ხელისუფლებების მიერ, სხვადასხვა მოტივითა და მიზეზით, სისტემატურად, ხორციელდებოდა კერძო საკუთრების ჩამორთმევა.

არსებული სამოქალაქო ან თუნდაც სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტები უბრალოდ ვერ უზრუნველყოფდნენ შესაბამისი ქონებების უკან დაბრუნებას ან შესაბამისი სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის გაცემას. ამიტომაც, გერმანიაში შეიქმნა სპეციალური საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც მოაწესრიგა შესაბამისი პირთა სამართლებრივი სტატუსი და ჩამორთმეული ქონების დაბრუნებისა და შესაბამისი კომპენსაციის მიღების საკითხები.

გერმანიის გაერთიანების დროისათვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული ექსპროპრიაციები. სოციალისტური სახელმწიფო იდეის შესაბამისად, აღმოსავლეთ გერმანიაში, საბჭოთა ოკუპაციის დროს და, ასევე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართულად ხდებოდა კერძო საკუთრების ნაციონალიზაცია, რაც გულისხმობდა აღნიშნული ქონებების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლას. იმ დროს, როდესაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს აღნიშნული ექსპროპრიაციისათვის შესაბამისი კომპენსაცია ეკუთვნოდათ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებს საერთოდ არანაირი კომპენსაციის მიღების უფლება არ ჰქონდათ.

² აღნიშნულ სამართლებრივ კვლევაში დიდი დახმარება გაძინა სამართლის რეფერენდარმა ბატონმა თამაზ შალამბერიძემ, საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორების“ იურისტმა, ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა

გერმანიის გაერთიანების შემდგომ დადგა საკითხი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო აღნიშნული საკუთრების (ქონებების) ბედის განსაზღვრა. აღნიშნული საკითხები, უპირველესად, მონესრიგდა გერმანიის გაერთიანების შესახებ 1990 წლის ხელშეკრულებაში³.

გერმანიის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებით განისაზღვრა ექსპროპრირებული ქონების მომავლის საკითხიც. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების თანახმად, ექსპროპრირებული ქონება, პრინციპში, უნდა დაბრუნებოდა წინა მესაკუთრეებს ან მათ მემკვიდრეებს. გამონაკლისს წარმოადგენდა, მაგალითად, ისეთი გარემოება, როგორიც იყო საკუთრების უკან დაბრუნების შეუძლებლობა, გამონვეული შესაბამისი ნივთის ფუნქციური დატვირთვის არსებითი ცვლილების ან ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქის მხრიდან საკუთრების კეთილსინდისიერი შექცენის გამო. ამ შემთხვევებში, ნატურით დაბრუნების მოთხოვნის უფლება შეიცვალა შესაბამისი კომპენსაციის მიღების მოთხოვნის უფლებით (ფულადი კომპენსაცია ან სხვა უძრავი ქონების გადაცემა). გაერთიანების ხელშეკრულების შესაბამისად, ნატურით დაბრუნება – უძრავ ქონებაზე ან შენობა-ნაგებობებზე საკუთრების უფლების გადაცემა – ასევე გამოირიცხებოდა, თუკი უძრავი ქონება ან შენობა-ნაგებობები გარკვეული საინვესტიციო მიზნებისათვის უნდა გამოყენებულიყო.

გერმანიის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებები უკვე შემდგომში დაზუსტდა ფედერალური კანონით „ღია ქონებრივი საკითხების მონესრიგების შესახებ“⁴ და, ასევე, ფედერალური კანონით „ინვესტიციების პრიორიტეტის შესახებ“ (Investitionsvorrangsgesetz). აღსანიშნავია, რომ გერმანიის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონესრიგება არ იყო სრულყოფილი: ხელშეკრულება, მათ შორის, არ ითვალისწინებდა საკუთრების დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში განსახორციელებელი კომპენსაციის სახეებსა და მოცულობას. იგივე ეხებოდა, ასევე, კომპენსაციის საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საოკუპაციო სამართლის თუ საოკუპაციო სუვერენიტეტის საფუძველზე განხორციელებულ ექსპროპრიაციებთან. სამაგიეროდ, 1994 წლის 27 სექტემბერს მიღებულმა ფედერალურმა კანონმა⁵, რომელსაც შემოკლებით „ანაზღაურებისა და კომპენსაციის შესახებ“ კანონი შეიძლება ეწოდოს, პრაქტიკულად შეავსო აღნიშნული ხარვეზიც.

დღეის მდგომარეობით, გერმანიის ფედერაციაში სახეზეა შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც საკმაოდ დეტალურად და ნათლად აწესრიგებს ზემოთ ხსენებულ ქონებრივ საკითხებს. განსაკუთრებით, აღსანიშნავია, რომ არსებული მონესრიგება განასხვავებს პირთა სხვადასხვა ჯგუფს და ექსპროპრიაციის (საკუთრების ჩამორთმევის) სხვადასხვა შემთხვევას.

2.1. პირთა სხვადასხვა ჯგუფი და ექსპროპრიაციის სხვადასხვა შემთხვევა

ა. პირები, რომელთაც თავიანთი საკუთრება გდრ-ის ჩამოყალიბების შემდეგ ჩამოერთვათ

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის პირები, რომელთაც გდრ-ის ჩამოყალიბების (07.10.1949 წ.) შემდეგ, საკუთრება ჩამოერთვათ საერთოდ კომპენსაციის გარეშე ანდა თავად გდრ-ის მოქალაქეებთან შედარებით მცირე კომპენსაციის სანაცვლოდ. „ღია ქონებრივი საკითხების მონესრიგების შესახებ“ ფედერალური კანონის მე-3 პარაგრაფის პირველი პუნქტისა და პირველი პარაგრაფის საფუძველზე ზემოხსენებულ პირებს, უბრუნდებათ ჩამორთმეული საკუთრება. კანონის შესაბამისად, აღნიშნულ ექსპროპრიაციებს უთანაბრდება საკუთრების დაკარგვა იძულების, მოტყუების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების და სხვა არაკეთილსინდისიერი მაქინაციის საფუძველზე,

³ Einigungsvertrag – Vertrag zwischen der Bundesrepublik Deutschland und der Deutschen Demokratischen Republik über die Herstellung der Einheit Deutschlands

⁴ Gesetz zur Regelung offener Vermögensfragen

⁵ Gesetz über die Entschädigung nach dem Gesetz zur Regelung offener Vermögensfragen und über staatliche Ausgleichsleistungen für Enteignungen auf besatzungshoheitlicher Grundlage – Entschädigungs- und Ausgleichsgesetz, შემოკლებით EALG

რომელიც განხორციელდა სახელმწიფო უწყებების ან სახელმწიფოსთან აფილირებული (დაახლოებული) პირების მიერ.

ამავე ჯგუფს მიეკუთვნებიან პირები, რომელთაც ისევე, როგორც ზემოხსენებულ პირებს, გდრ-ის დაფუძნების შემდეგ, ჩამოართვეს საკუთრება, თუმცა არ აქვთ საკუთრების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება. კანონი ითვალისწინებს საკუთრების უკან დაბრუნების მოთხოვნის გამორიცხვის რამდენიმე შემთხვევას:

ა) როდესაც „ღია ქონებრივი საკითხების მონესრიგების შესახებ“ ფედერალური კანონის მე-4 პარაგრაფის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკუთრების უკან დაბრუნება გამორიცხულია საგნის ბუნებიდან გამომდინარე: მაგალითად, გამორიცხულია მინის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების (ასევე სხვა ქონებრივი უფლებების) უკან დაბრუნება, თუ მინის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების სარგებლობის სახე ან მიზნობრიობა მნიშვნელოვანი სამშენებლო ხარჯების საფუძველზე შეიცვალა და სახეზეა არსებული სარგებლობის საჯარო ინტერესი (საჯარო ინტერესი მოცემულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ექსპროპრირებული საგნის საწარმოო ერთეულში ინტეგრირება მოხდა და ამ საგნის ძველი მესაკუთრისათვის უკან დაბრუნება საწარმოსათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე ვერ მოხდება). გამორიცხულია, ასევე, იმ საწარმოს (წილებისა და უძრავ-მოძრავი ქონების) უკან დაბრუნება, რომელსაც საწარმოო საქმიანობა შეწყვეტილი აქვს და, სამეწარმეო პერსპექტივიდან გამომდინარე, არ არსებობს საწარმოო საქმიანობის განახლების წინაპირობები.

ბ) „ღია ქონებრივი საკითხების მონესრიგების შესახებ“ ფედერალური კანონის მე-4 პარაგრაფის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკუთრების უკან დაბრუნება ასევე, გამორიცხულია, თუ ფიზიკურმა პირებმა, რელიგიურმა გაერთიანებებმა და კოოპერატივის ტიპის დაწესებულებებმა სადავო ქონება ან სარგებლობის საწარმოო უფლებები 1945 წლის 8 მაისის შემდეგ კეთილსინდისიერად შეიძინეს. ამ შემთხვევებში, კანონის პირველი პარაგრაფის პირველი ნაწილის შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს აქვს კომპენსაციის მიღების მოთხოვნის უფლება. ხოლო აღნიშნული კანონის მე-4 პარაგრაფის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უფლების შექმნა ითვლება არაკეთილსინდისიერად, თუ: (ა) ის შექმნის დროისათვის მოქმედი სამართლის ზოგად ნორმებთან, საპროცედურო პრინციპებთან და მართლ-ზომიერ ადმინისტრაციულ პრაქტიკასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა და შემდგომ ეს იცოდა ან უნდა სცოდნოდა; (ბ) ის ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ შემდგომ კორუფციის ან პიროვნული ძალაუფლებრივი პოზიციის საფუძველზე გავლენა მოახდინა შექმნის დროზე, შექმნის პირობებზე ან შესაძენი საგნის არჩევაზე; (გ) ის განპირობებული იყო იმით, რომ შემდგომ თავის სასარგებლოდ გამოიყენა თავისი ან მესამე პირის მიერ გამონეული ძველი მესაკუთრის მძიმე მდგომარეობა ან მოტყუება.

ბ. პირები, რომელთაც საკუთრება საოკუპაციო სამართლისა და საოკუპაციო სუვერენიტეტის საფუძველზე ჩამოერთვათ

ამ ჯგუფში შედიან პირები, რომელთაც თავიანთი საკუთრება 1945 წლის 08 მაისიდან 1949 წლის 07 ოქტომბრამდე პერიოდში დაკარგეს ექსპროპრიაციის საფუძველზე და რომელთაც საკუთრების უკან დაბრუნების უფლება „ღია ქონებრივი საკითხების მონესრიგების შესახებ“ კანონის შესაბამისად არ ეკუთვნით. აღნიშნულ პირებს, პრინციპში, აქვთ მხოლოდ კომპენსაციის მიღების უფლება.

ბ. პირები, რომელთაც თავიანთი საკუთრება ნაცისტური გერმანიის პერიოდში ჩამოერთვათ

ამ ჯგუფში შედიან პირები, რომლებიც 1933 წლის 30 იანვრიდან 1945 წლის 09 მაისამდე პერიოდში სხვადასხვა - რასისტული, პოლიტიკური, რელიგიური, მსოფლმხედველური - მოტივით იდევნებოდნენ და, ამ საფუძველებიდან გამომდინარე, მათ საკუთრება ჩამოერთვათ იძულებითი გაყიდვისა თუ ექსპროპრიაციის გზით. ამ პირებთან მიმართებაში მოქმედებს ჩამორთმეული ქონების პრინციპ-

ულად უკან დაბრუნების წესი „ღია ქონებრივი საკითხების მონესრიგების შესახებ“ კანონის პირველი პარაგრაფის მე-6 ნაწილის შესაბამისად. ამგვარად, გერმანიის ნაციონალური რეჟიმის დროს უკანონოდ ჩამორთმეულ საკუთრებასთან მიმართებაში შესაბამის დაზარალებულ პირებს აქვთ ჩამორთმეული საკუთრების უკან დაბრუნების (რესტიტუციის) უპირობო უფლება.

2.2. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, როგორც სახელმძღვანელო მაგალითი

ზემოთ განხილული მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, საქმის არსიდან გამომდინარე, განასხვავებს პირთა სხვადასხვა ჯგუფსა და ექსპროპრიაციის სხვადასხვა შემთხვევას და განსაზღვრავს სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს. უმთავრესი განმასხვავებელი კრიტერიუმი, ბუნებრივია, არის ის გარემოება, თუ რომელი პოლიტიკური რეჟიმის დროს განხორციელდა ექსპროპრიაცია.

საქართველოს შემთხვევაში ამგვარი დიფერენციაცია, ცხადია, არ გამოდგება, რადგანაც ჩვენთან მხოლოდ ერთი პოლიტიკური რეჟიმის დროს განხორციელებულ ექსპროპრიაციებთან გვაქვს საქმე, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ პერიოდში. კომუნისტური რეჟიმის დროს განხორციელებული ექსპროპრიაციები უკვე მონესრიგებულია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანული სამართალი კონკრეტულ პოლიტიკურ რეჟიმთან მიმართებაში განსხვავებულ მიდგომებს გვთავაზობს, იგი თავისი მრავალი დიფერენციაციითა და ნიუანსით წარმოადგენს ძალზე კარგ სახელმძღვანელო მაგალითს ქართველი კანონმდებლისათვის.

3. საქართველოს სპეციალური კანონის სტრუქტურა და შინაარსი

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, „ნაციონალური რეჟიმის“ დროს საკუთრების უკანონოდ ჩამორთმევის გამო დაზარალებული პირების ქონებრივი კომპენსირების მიზნით სამართლებრივად აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, პირველ რიგში კი, სპეციალური კანონის მიღება, რომელმაც სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებულად უნდა მოანესრიგოს არაერთი სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხი. თუმცა სამოქალაქო-სამართლებრივ საკითხებთან ერთად, აუცილებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საკითხების მოგვარებაც. ამდენად, სპეციალური კანონი არ იქნება წმინდა სამოქალაქო სამართლის შინაარსის მატარებელი, ვინაიდან აღნიშნულმა კანონმა რეჟიმისაგან რეპრესირებულ პირთა სამართლებრივი სტატუსის გარდა, უნდა მოანესრიგოს ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნებისა თუ შესაბამისი კომპენსაციის გაცემის პროცედურებიც.

3.1. სპეციალური კანონის დასახლება

პირველ რიგში, აუცილებელია, შესამუშავებელი სპეციალური კანონის ზუსტი დასახლების შერჩევა. ამ თვალსაზრისით, ჩვენს კანონმდებლებს უკვე აქვთ შესაბამისი გამოცდილება. საქართველოს პარლამენტმა, კომუნისტური რეჟიმის პერიოდის (1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე) პოლიტიკურ რეპრესირებთან დაკავშირებით, 1997 წელს მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“.

გამომდინარე იქიდან, რომ 2003წ. 23 ნოემბრიდან 2012წ. 01 ოქტომბრამდე საქართველოში ადგილი ჰქონდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან არა მხოლოდ პირთა პოლიტიკურ დევნას, არამედ მათ მიმართ პოლიტიკურ და სოციალურ რეპრესირებასაც, ვფიქრობ, რომ კანონის სახელწოდებ-

ბაშიც უნდა მოხდეს ამ მოვლენების შესაბამისი ასახვა. ჩემი წინადადებაა, რომ კანონის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: საქართველოს კანონი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის პერიოდში პირთა პოლიტიკურ თუ სოციალურ მსხვერპლად აღიარებისა და მათი სამართლებრივი დაცვის შესახებ“.

3.2. რეპრესირებული პირის სამართლებრივი სტატუსი

სპეციალური კანონის მონესრიგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია „რეპრესირებული პირის“, „რეჟიმის მსხვერპლის“ ან მსგავსი პირის სტატუსის განსაზღვრა. ასეთი სტატუსი კი უნდა მიენიჭოს იმ სუბიექტებს, რომელთა საკუთრებაც შესაბამისი დროის მონაკვეთში, მათი ნამდვილი ნების გარეშე, აღმოჩნდა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ აგრეთვე, სახელმწიფოს დანაშაულებრივი ხელშეწყობით, მესამე პირების ხელში.

შესაბამისად, ასეთი სტატუსი უნდა მიენიჭოს როგორც საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოს იურიდიულ პირებს, ასევე უცხოელ მოქალაქეებსა და უცხოურ ორგანიზაციებს, რომლებიც იქცნენ პოლიტიკური და სოციალური რეპრესიების მსხვერპლად.

პირს რეპრესირებულის სტატუსი უნდა მიანიჭოს სასამართლომ, ამ პირის განცხადების საფუძველზე.

3.3. კრიტერიუმების დადგენა

სპეციალური კანონის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იქნება, ასევე, იმ კრიტერიუმების (გარემოებების) დადგენა, რომელთა საფუძველზეც უკანონოდ იქნება მიჩნეული კონკრეტულ პირთა მიერ საკუთარი ქონებების სახელმწიფოსათვის გადაცემა. აღსანიშნავია, რომ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, ქონების უკანონოდ ჩამორთმევად უნდა იქნას მიჩნეული, აგრეთვე, სახელმწიფოს დავალებით, ანდა სახელმწიფოს დანაშაულებრივი ხელშეწყობით, მესამე პირებისათვის რეპრესირებულ პირთა ქონების გადაცემაც.

ამდენად, ქონების (საკუთრების) ჩამორთმევის – ექსპროპრიაციის – შესაბამის კრიტერიუმებად მიჩნეული უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

ა) სახელმწიფოსათვის ან მესამე პირისათვის ქონების ჩუქება ან მისი საბაზრო ფასზე ნაკლებ ფასად მიყიდვა რეპრესირებულის მძიმე გარემოებებში ყოფნისას. კერძოდ, თუ იგი იმყოფებოდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში, იდევენბოდა სისხლისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნესით, განიცდიდა აშკარა მუქარას და სხვ.,

ბ) სახელმწიფოსათვის ან მესამე პირისათვის ქონების ჩუქება ან მისი საბაზრო ფასზე ნაკლებ ფასად მიყიდვა, თუკი ეს არ იყო გამონვეული საჯარო ინტერესით ან საზოგადოებრივი (სახელმწიფოებრივი) აუცილებლობიდან ან საჭიროებიდან გამომდინარე,

გ) უკანონოდ დარიცხული სახელმწიფო გადასახადების გამო, რეპრესირებული პირის ქონების რეალიზაცია საგადასახადო აღსრულების ფარგლებში,

დ) რეპრესირებული პირის კონტროლს დაქვემდებარებული სამენარმეო სუბიექტის ქონების გაყიდვა არამართლზომიერი გაკოტრების ან იძულებით ლიკვიდაციის რეჟიმში;

ე) რეპრესირებული პირის ნების სანინაალმდეგოდ სახელმწიფოსათვის თანხების გადახდა, სისხლისსამართლებრივი საპროცესო შეთანხმებების ფარგლებში,

ვ) რეპრესირებული პირის ქონების განკარგვა სახელმწიფო თანამდებობის პირსა ან მისი ოჯახის წევრზე და სხვ.

თითოეული ზემოაღნიშნული გარემოება უნდა შეაფასოს და დაადგინოს სასამართლომ, რის საფუძველზეც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება უკანონოდ ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების (ან კომპენსაციის) შესახებ.

3.4. პროცედურები

რეპრესირებული პირის სამართლებრივი დაცვის გარანტია მისთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნება ან სამართლიანი კომპენსაციაა.

შესაბამისად, სპეციალური კანონის ძირითად ნაწილს უნდა წარმოადგენდეს პროცედურული ნაწილი. კერძოდ, კანონში დეტალურად უნდა განისაზღვროს უკანონოდ ჩამორთმეული საკუთრების დაბრუნების (კომპენსირების) წესი. ამ წესის თანახმად, სადაო არ უნდა იყოს იმ ქონების უკან დაბრუნება, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის ჯერ კიდევ სახელმწიფოს სახელზეა აღრიცხული ან სახელმწიფოს მფლობელობაშია (მაგ., მოძრავი ქონების შემთხვევაში).

სპეციალური კანონით დეტალურად უნდა გაიწეროს, ასევე უკვე გაუმჯობესებული ქონების საკითხი. არ არის გამორიცხული, რომ ქონების გაუმჯობესების შემთხვევაში, დადგეს რეპრესირებული პირის მხრიდან გაუმჯობესებული ღირებულების ანაზღაურების აუცილებლობა.

თავისთავად, პრობლემატურია იმ ქონების უკან დაბრუნება, რომელსაც უკვე ჰყავს კეთილსინდისიერი შემძენი. სპეციალური კანონის უმთავრესი ამოცანაა ზუსტად განსაზღვროს რეპრესირებული პირის და შემძენის კეთილსინდისიერება. მაგალითად, სადაო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ თუკი სახელმწიფომ რეპრესირებულისათვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონება შემდგომში უსასყიდლოდ ან ნაკლები საბაზრო ღირებულებით გადასცა სხვა პირს, ასეთი პირი არ უნდა ჩაითვალოს კეთილსინდისიერ შემძენად.

კეთილსინდისიერების განსაზღვრის ერთ-ერთ კრიტერიუმად, აგრეთვე, მიჩნეული უნდა იქნას ქონების გადაცემის ვადაც. მაგალითად, თუკი რეპრესირებულის ქონება, მისი ჩამორთმევიდან მოკლე ვადაშივე (მაგალითად, არაუმეტეს 1 წელში) სახელმწიფომ მესამე პირს გადასცა, ასეთი პირი არ უნდა ჩაითვალოს კეთილსინდისიერად.

პრობლემატურია იმ ქონების უკან დაბრუნების საკითხი, რომელიც სახელმწიფომ აუქციონის წესით გაასხვისა, ხოლო მესამე პირმა აუქციონის წესების დაცვით შეიძინა იგი. ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი მოგვევლინება კეთილსინდისიერ შემძენად, რის გამოც სახელმწიფომ რეპრესირებულ პირს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია, ქონების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით.

4. დასკვნა

საქართველოში დღეის მდგომარეობით შექმნილი ვითარება, კერძოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის პერიოდში უკანონოდ ჩამორთმეულ საკუთრებებთან დაკავშირებული მდგომარეობა ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს კონსტიტუციური წესრიგის სრულ ამოქმედებას.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს კონსტიტუციური წესრიგის სრული ამოქმედება, აუცილებელია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში განხორციელებული უკანონო ექსპროპრიაციების საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება. აღნიშნული საკანონმდებლო მოწესრიგება გულისხმობს იმ პროცედურების არსებობას, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი რეპრესირებული პირებისათვის ექსპროპრირებული ქონების დაბრუნებასა და მათთვის სამართლიანი კომპენსაციის გაცემას.

საქართველოს კანონმდებელს ძალიან კარგი და თვალსაჩინო მაგალითი აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამისი სპეციალური კანონმდებლობის სახით, რომლის შექმნა განპირობებული იყო, სწორედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფის აუცილებლობით.

იქიდან გამომდინარე, რომ „ევროპისაკენ მიმავალ გზაზე“ ჩვენი სახელმწიფო ცდილობს საკუთარი კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებასა და სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფომ ასევე მოაწესრიგოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დროს განხორციელებული უკანონო ექსპროპრიაციების საკითხიც. ამისათვის კი აუცილებელია, სწორედ ზემოთ აღწერილი სპეციალური საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომლითაც სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი „სამართლიანობის აღდგენა“.